2024 წლის 6-7 დეკემბრის დარბევა - აქციის მონაწილეთა დაკავების სპეცოპერაცია

თამარ ქეცბაია[1]

2024 წლის 28 ნოემბერს, ირაკლი კობახიძემ გააჟღერა პარტია „ქართული ოცნების" გადაწყვეტილება, რომ 2028 წლის ბოლომდე, ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნებოდა.[2] გადაწყვეტილებას მყისიერად მოჰყვა საზოგადოების მასშტაბური პროტესტი, რომელმაც უწყვეტი სახე მიიღო. საპროტესტო აქციის მონაწილეები „ქართული ოცნებისგან" მოითხოვენ ხელახალი სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, რუსეთისკენ უპრეცედენტოდ დაჩქარებული სვლის შეჩერებას, ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ კურსზე დაბრუნებასა და რეჟიმის პატიმრების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

რეჟიმი აქციის მონაწილეების წინააღმდეგ და პროტესტის შეჩერების მიზნით, ამ დრომდე, წარუმატებლად იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს და პროპაგანდის მანქანას, მათ შორის, დემონსტრანტების კრეატიულობასთან ადაპტირებისა და „კანონიერების საბურველის" შექმნის მიზნით, ყოველდღიურად უწევს ახალი ინსტრუმენტების გამოგონება.[3] მკაცრი რეპრესიების, აკრძალვების სერიების, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ყველა ინსტიტუტის მიტაცებისა და მასზე სრული კონტროლის ფონზე, პროტესტი რეზისტენტულობას ინარჩუნებს. ეს კი, თავის მხრივ, რეჟიმს უფრო და უფრო მეტ შეცდომას აშვებინებს, რაც მეტ სისასტიკეში, სადამსჯელო ღონისძიებებსა და ტოტალურ ტერორში გამოიხატება.

იმ მოცემულობაში, როდესაც 2024 წლის 26 ოქტომბრის მანიპულირებული არჩევნების შედეგებს მხოლოდ „ქართული ოცნება" აღიარებს, არალეგიტიმური ხელისუფლების

---

[1] კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, საქართველოს უნივერსიტეტი. email: t.ketsbaia@ug.edu.ge

[2] ირაკლი კობახიძე - 2028 წლის ბოლომდე არ დავაყენებთ ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხს, უარს ვამბობთ ევროკავშირიდან გრანტზე, განვაგრძობთ სვლას ევროკავშირისკენ, თუმცა არავის მივცემთ მუდმივი შანტაჟის საშუალებას", პირველი არხი, 28.11.2024. https://1tv.ge/news/iirakli-kobakhidze-2028-wlis-bolomde-ar-davayenebt-evrokavshirtan-molaparakebebis-gakhsnis-sakitkhs-uars-vambobt-evrokavshiridan-grantze-ganvagrdzobt-svlas-evrokavshirisken-tumca-aravis-mivcemt-mu/

[3] დავით ზედელაშვილი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ახალი არაკონსტიტუციური და რეპრესიული ინსტრუმენტები, კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, 21.12.2024. https://gnomonwise.org/ge/publications/analytics/234

ბრძანებით შესრულებული ნებისმიერი ქმედება იმთავითვე უკანონოა და ცალკეული შემთხვევების კანონიერებისა თუ ამ პროცესში პარტიის მიერ გამოყენებული ძალის პროპორციულობის ნაწილზე მსჯელობა, აზრს მოკლებულია.

პარტია, ყოველი დარბევის შემდეგ, მადლობას უხდის საპოლიციო ძალებს, რომ მათ ევროპულსა და ამერიკულზე უფრო მაღალი სტანდარტით იმოქმედეს, ხოლო სასამართლო სრულიად კანონიერად და პროპორციულად აფასებს გამოყენებულ ძალას. ამიტომ, მინიმუმ, აუცილებელია, რომ თითოეულ ქმედებას შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მოჰყვეს, რათა პროპაგანდის სამიზნე აუდიტორიას სწორი ინფორმაცია მიეწოდოს და ასევე, სამომავლოდ, შესაბამისი სამართლებრივი ნაბიჯები გადაიდგას. ამისთვის კი, ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევასთან ერთად, საჭიროა სისტემის მუშაობის პრინციპის კარგად გააზრება, მასში მონაწილე პირების, მათი როლისა და მონაწილეობის ხარისხის იდენტიფიცირება.

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია 6-7 დეკემბრის მოვლენები და მათი სამართლებრივი ანალიზი. ამ მოვლენებზე არჩევანი გაკეთდა რამდენიმე გარემოების გათვალისწინებით. პირველ რიგში, ამ დრომდე ეს ითვლება უწყვეტი პროტესტის ბოლო, მასშტაბურ დარბევად. ამასთან, უშუალოდ დაშლის გადაწყვეტილების მიღებისას, აქციას მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, რაზეც სპეციალური განცხადება სახალხო დამცველმაც გააკეთა.[4] ეს მოვლენები საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კარგად გამოიკვეთა, როგორ მოქმედებდნენ აქციის მონაწილეების წინ მდგარი ნიღბიანი „სამართალდამცავები“ პროვოკაციულად, ვითარების დაძაბვის მიზნით, რათა საპოლიციო ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობისთვის შესაბამისი საფუძველი შექმნილიყო. ბოლოს, აქციის დაშლის პროცესში, აკრძალული მეთოდი გამოიყენეს - მონაწილეები ალყაში მოაქციეს, რაც აქციის მონაწილეების მასობრივი დაკავების სპეცოპერაციის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ მოვლენების შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ნოტარიუსად ქცეული სასამართლოს პერსპექტივიდან განხილვა. დაკავებულთა სასამართლო პროცესებზე

[4] სახალხო დამცველის განცხადება რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დაშლასთან დაკავშირებით, 07.12.2024.
https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-rustavelis-gamzirze-mimdinare-aktsiis-dashlastan-dakavshirebit

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მთავარი ხაზი გადის იმაზე, რომ აქციამ კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო და ამ მომენტიდან მასში მონაწილეობა, თუნდაც, უბრალოდ, მის სიახლოვეს ჩავლა, უკანონო ქმედებაში მონაწილეობასა და ინდივიდების დაკავებისა და ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების თვითკმარ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა. ამ დრომდე მოსამართლეებმაც თავიანთი გადაწყვეტილებები აქციის კანონსაწინააღმდეგობაზე დააფუ1ძნეს და ადმინისტრაციული წესით დაკავებულები, მოწმედ წარმოდგენილი პოლიციელების (ე.წ. ცრუმოწმეების, რომლებიც სინამდვილეში მხარეს წარმოადგენდნენ) ჩვენების საფუძველზე, სამართალდამრღვევებად ცნეს.

6-7 დეკემბრის მოვლენები შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოს პერსპექტივიდან

6 დეკემბრის ღამის მოვლენებს ათეულობით დემონსტრანტის დაკავება მოჰყვა როგორც უშუალოდ აქციის დაშლის საწყის პერიოდში, ჭიჭინაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისე რესპუბლიკის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზეც. ძირითად შემთხვევაში, გამოყენებული იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე (სამართალდამცავების კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლი, ან - 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლი, ან - მათი კომბინაცია.

სასამართლო პროცესებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ დაკავებულების მხრიდან დაირღვა 173-ე მუხლი, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობაში გამოიხატა. კანონიერ მოთხოვნაში კი ხმამაღლამოლაპარაკე მოწყობილობის მიერ გაჟღერებულ მოწოდებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებას გულისხმობდნენ. მათივე განმარტებით, კანონიერად ამ მოთხოვნას აქცევდა ის ფაქტი, რომ მოქალაქეების მხრიდან სამართალდამცავების მიმართულებით სხვადასხვა ნივთის სროლა, პიროტექნიკის გამოყენება და სიტყვიერი შეურაცხყოფა გასცდა შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების კანონით დადგენილ ფარგლებს და აქციამ მიიღო ძალადობრივი ხასიათი, შესაბამისად, მათ,

სხვადასხვა სპეციალური ღონისძიების გამოყენებით, აქციის დაშლის კანონიერი საფუძველი მიეცათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ პოზიციას განამტკიცებდნენ მოწმის სტატუსით გამოკითხული პირები, რომლებიც ასევე, ოფიციალური ოქმის საფუძველზე, მიჩნეული იყვნენ სამართალდამრღვევი პირების სამართალდამრღვევად მცნობ და მათ დამკავებელ პატრულ-ინსპექტორებად (ეს პირები აფორმებდნენ ოფიციალურად პირის დაკავებას).

პატრულ-ინსპექტორების ჩვენებების მიხედვით, ისინი იდგნენ მოშორებით, სპეცრაზმის უკან და მოვლენებს სწორედ ამ წერტილიდან აკვირდებოდნენ. ვინაიდან მათ არ გააჩნდათ სპეციალური აღჭურვილობა, ისინი თავად ვერ აკავებდნენ პირებს, ამიტომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული პირის დაკავების შესახებ, დავალებას აძლევდნენ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის (გდდ) თანამშრომლებს, რომლებიც ოფიციალურად ასრულებდნენ პატრულ-ინსპექტორის მითითებას და მათთან მიჰყავდათ სამართალდამრღვევი პირი. შემდეგ კი პატრულ-ინსპექტორები აფორმებდნენ შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმეები, რომლებიც, სინამდვილეში, ბრალდების მხარეს წარმოადგენდნენ და მის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების შესახებ, ყოველგვარი ეჭვის გაფანტვა უწევდათ, ამტკიცებდნენ, რომ რამდენად შორსაც უნდა მდგარიყვნენ დაკავების ადგილიდან, სრული კონტროლი ჰქონდათ სიტუაციაზე, ხედავდნენ და ესმოდათ აქციის მონაწილის თითოეული ქმედება და უშუალოდ ისინი გასცემდნენ კონკრეტული პირის დაკავების ბრძანებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ პოზიციიდან გამომდინარე, სასამართლო მრავალი საკითხის გამოკვლევის საჭიროების წინაშე იდგა. პირველ რიგში, უნდა შეეფასებინა ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც არსებობდა უშუალოდ აქციის დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისას და ასევე, თითოეული პირის დაკავების ინდივიდუალურ შემთხვევაში.

შესაბამისად, უნდა შეეფასებინა, რომ აქციაზე არსებული უკანონო ქმედებები მართლაც იმ ინტენსივობისა და მასშტაბების იყო, რომ ის ავტომატურად აქცევდა მთლიან აქციას

არამშვიდობიანად, ხოლო მასში მონაწილე თითოეულ პირს - ძალადობრივი აქციის მონაწილედ. უნდა დარწმუნებულიყო, რომ ეს გარემოება მართლაც ქმნიდა აქციის სრულად დაშლის სამართლებრივ საფუძველს (აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას) და შესაბამისად, პოლიციის მიერ აქციის თითოეული მონაწილისთვის ტერიტორიის დატოვების მოწოდება კანონიერ მოთხოვნას წარმოადგენდა.

სასამართლო უნდა დაინტერესებულიყო, რამდენად შეესაბამებოდა დაშლა წინასწარ განსაზღვრულ ინსტრუქციებსა და ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. ჰქონდათ, თუ - არა აქციის მონაწილეებს საშუალება, გაეგოთ და დამორჩილებოდნენ შსს-ს მოთხოვნას (თუ დავუშვებთ, რომ ის მართლაც კანონიერი იყო) და საკუთარი ნებით, გონივრულ ვადაში დაეტოვებინათ ტერიტორია. შესაბამისად, სასამართლოს უნდა შეეფასებინა, კონკრეტულ მომენტში აქციაზე დგომა რამდენად წარმოადგენდა პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას და ფიზიკური ძალის გამოყენებით მისი დაკავების ბრძანების გაცემა - აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას.

სასამართლოსვე უნდა გამოერკვია ის სქემა, რომლის მიხედვითაც პოლიციის თანამშრომელი გდდ-ის თანამშრომელს აძლევდა ბრძანებებს და შესაბამისად, შეესწავლა, შექმნილ ქაოსურ ვითარებაში, რამდენად იყო შესაძლებელი, რომ პატრულ-ინსპექტორს სრული კონტროლი ჰქონოდა პროცესზე პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენიდან ოქმის გაფორმებამდე, რაც უნდა ასახულიყო სამართალდარღვევათა და დაკავების ოქმებში (რომელშიც აუცილებლად უნდა მიეთითოს სამართალდარღვევის ადგილი, დრო და არსი.[5] ასევე, დაკავების ოქმში უნდა მიეთითოს დაკავების დრო და ადგილი[6]). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა, უმრავლეს შემთხვევაში, კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობასთან ერთად, აქციის მონაწილეებს წვრილმან ხულიგნობასაც ედავებოდნენ, რაც, მათ შორის, გამოხატული იყო სიტყვიერ შეურაცხყოფაში. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა ზუსტად გაერკვია რა მიიჩნია პატრულ-ინსპექტორმა ხულიგნობად და რამდენად შეეძლო მას

[5] ადმინისტარიულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240(1)-ე მუხლი.
[6] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245(5)-ე მუხლი.

ზუსტად დაენახა, რომ ასეულობით ადამიანში, სწორედ ეს პიროვნება სჩადიოდა ამ კონკრეტულ სამართალდარღვევას.

როგორც სამართალდამრღვევად ცნობილი პირების განცხადებებიდან ირკვევა, სასამართლოში პროცესები სტანდარტულად, მოსამართლეების მხრიდან ზედმეტი ძალისხმევის გამოჩენის გარეშე წარიმართა. მოწმეებს უჭირდათ კონკრეტული გარემოებების და იმ პირების მაიდენტიფიცირებელი ნიშნების გახსენება, რომლებითაც, ათასობით მომიტინგეში, „სამართალდამრღვევი“ გამოარჩიეს და მისი დაკავების ბრძანება გასცეს. უჭირდათ პასუხის გაცემა იმაზეც, თუ როგორ ანიშნებდნენ გდდ-ის თანამშრომლებს, კონკრეტულად რომელი მომიტინგე უნდა მიეგვარათ მათთვის.

პასუხგაუცემელი კითხვების მიუხედავად, მოსამართლეთა უმრავლესობამ თავიანთი გადაწყვეტილება სწორედ მოწმედ გამოძახებული პატრულ-ინსპექტორების ჩვენებებსა და მათ მიერ შედგენილ ოქმებს დააფუძნა. სამწუხაროდ, ეს პრაქტიკა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვის პროცესში, ქართული სასამართლოსთვის არახალია. საინტერესოა ისიც, რომ იმ ფონზე, როცა საქმეების უმრავლესობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ძირითადად, ეს მწირი და მიკერძოებული მტკიცებულებები იყო წარმოდგენილი, დაკავებულთა დიდ ნაწილს ადმინისტრაციული პატიმრობის კანონით დადგენილი ვადა (24 საათი) გაუხანგრძლივეს. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, ამ ვადის გახანგრძლივება (მაქსიმუმ, 24 საათით) შესაძლებელია მხოლოდ იმ საგამონაკლისო შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა.[7]

მოსამართლეებმა, როგორც ჩანს, ასევე მოცემულობად მიიღეს ის ფაქტი, რომ აქციის დაშლა და ტერიტორიის დატოვების მოთხოვნა იყო სრულად კანონიერი და მოქალაქეებს მისი დამორჩილების კანონიერი ვალდებულება ჰქონდათ. ამის საილუსტრაციოდ, შეგვიძლია მოვიხმოთ ამონარიდი მოსამართლე ლელა ცაგარეიშვილის ერთ-ერთი დადგენილებიდან: *„...სამართალდამცავთა მოწოდება ტერიტორიის დატოვების თაობაზე იმ პირობებში, როდესაც აქციის მონაწილეთა მხრიდან ადგილი აქვს სხვადასხვა სახის ნივთების სროლას, მიმართულია*

[7] ადმინისტარიულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლი.

საზოგადოების უსაფრთხოების დაცვისკენ და წარმოადგენს კანონიერ მოთხოვნას. ამგვარ მოთხოვნაზე დამორჩილების ვალდებულება წარმოეშობა აქციაზე მყოფ პირებს“.[8] აღნიშნულ საქმეში მოსამართლემ კანონიერ მოთხოვნად სწორედ ხმამაღლამოლაპარაკის მიერ გაჟღერებული მითითება მიიჩნია და მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობად - გაფრთხილების შემდეგ ტერიტორიის არდატოვება. მოსამართლეს არ შეუფასებია, აქციის მონაწილეთა ქმედებების ბუნება, ინტენსივობა და არეულობის დონე. მოსამართლის მხრიდან ამგვარი საქმიანობის გაწევა, ცხადია, შეუძლებელს გახდიდა, არსებითი სხდომის შემდეგ, გადაწყვეტილების ხუთ წუთში გამოცხადებას.

მოსამართლის მიერ დროულად გადაწყვეტილების მიღების ინტერესი ვერ გადაწონის დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის ინტერესს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის იხილავს ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს, რომელიც, თავისი ბუნებით, სისხლისსამართლებრივია.[9] ამ სახის სამართალდარღვევები მოითხოვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის შესაბამისი სტანდარტით საქმის განხილვას და არა - საბჭოთადროინდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის წახალისებით, სისწრაფეზე ორიენტირებულ პროცესს, რომელიც მეტწილად ეყრდნობა მხოლოდ მოწმედ წარმოდგენილი პატრულ-ინსპექტორების ჩვენებებს (რომლებიც, სინამდვილეში, მხარეს წარმოადგენენ) და დათქმას, რომ „პოლიციელი ყოველთვის მართალია“.[10]

6-7 დეკემბრის მოვლენები: ფაქტები და შეფასებები

<u>ვითარება აქციის დაშლამდე</u>

3 დეკემბერს ბიზნესისთვის პიროტექნიკის გაყიდვის ფაქტობრივი აკრძალვისა[11] და 4-5 დეკემბერს ჩატარებული რეიდების შემდეგ, რა დროსაც ოპოზიციის ოფისებში პოლიცია

[8] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლელა ცაგარეიშვილის 2024 წლის 8 დეკემბრის დადგენილება საქმეზე N4/8916-24.

[9] თამარ ქეცბაია, „ადმინისტრაციული პატიმრობის პრაქტიკა საქართველოში და მისი საბჭოთა საფუძვლები“, კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, 25.06.2024. https://gnomonwise.org/ge/publications/analytics/203

[10] სალომე ჩადუნელი, „პოლიციელი ყოველთვის მართალია“ - სამართალი „ქარხნული წესით“, რადიო თავისუფლება, 08.12.2024. https://www.radiotavisupleba.ge/a/სამართალი-ქარხნული-წესით/33230616.html

[11] საქართველოს მასშტაბით პიროტექნიკის მაღაზიები დაიხურა, მთავარი არხი, 03.12.2024. https://mtavari.tv/news/171421-sakartvelos-masshtabit-piroteknikis-maghaziebi

შევიდა, ოპოზიციის წარმომადგენლები დააკავა და მათი ოფისებიდან სხვადასხვა ნივთი ამოიღო[12] (რომლებიც, მათივე ინტერპრეტაციით, აქციის ძალადობრივ ხასიათს უზრუნველყოფდა), „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, აქციის მონაწილეთა დარბევაზე ერთგვარი მორატორიუმი გამოცხადდა. ეს კი მათ მიერ წინასწარ დაგეგმილი რიტორიკის გასატარებლად მოხდა. კერძოდ, პარტიამ, 4-5 დეკემბერს გამართული აქციების დარბევის საჭიროების არარსებობა იმით ახსნა, რომ აქციას მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, რაც, მათივე განმარტებით, უკავშირდებოდა პარტიულად ანგაჟირებული, აქციის ძალადობრივი ნაწილის განეიტრალებას.[13]

მათივე რიტორიკის საწინააღმდეგოდ, 6 დეკემბერს „ქართულმა ოცნებამ“ სპეციალური ძალების განსაკუთრებული მობილიზება გამოაცხადა. ეს კი აჩენს განცდას, რომ „ქართულ ოცნებას“ წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი 6 დეკემბრის სცენარი, რომლის მიხედვითაც აქცია ნებისმიერ ფასად უნდა დაშლილიყო, მარბიელი რაზმების მიერ ფიზიკური ძალის გამოყენებასა და დემონსტრანტების დაკავებაზე ძირითადი აქცენტით.

„მთავარი არხის“, „ფორმულას“, „ტელეკომპანია პირველის“, „რუსთავი 2-ს“, „პირველი არხისა“ და სამთავრობო „იმედის“ პირდაპირი ჩართვების[14] შეჯამებით, შეგვიძლია შემლებისდაგვარად აღვადგინოთ 6-7 დეკემბერს განვითარებული მოვლენების სურათი, რომელიც ზემოთ გამოთქმული ვარაუდის საფუძველს იძლევა.

---

[12] ხელისუფლებამ ოპოზიციისა და აქტივისტების წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო, Civil Georgia, 04.12.2024. https://civil.ge/ka/archives/641485

[13] ირაკლი კობახიძე - პარტიულ ოფისში როგორც კი შევედით, შეწყდა ძალადობა, ხუთ დღეში გავანეიტრალეთ მომიტინგეების ძალადობის რესურსი, რევოლუციის მცდელობებზე სამინისტროს რეაგირების რესურსი ამოუწურავია, პირველი არხი, 06.12.2024. https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-partiul-ofisebshi-rogorc-ki-shevedit-shewyda-dzaladoba-khut-dgheshi-gavaneitralet-momitingeebis-dzaladobis-resursi-revoluciis-mcdelobebze-saministros-reagirebis-resursi-amouwura/

[14] სტატიაში მოყვანილი ფაქტები ეყრდნობა myvideo.ge-ს საშუალებით მიღებულ ინფორმაციას. თუმცა, ვინაიდან გარკვეული დროის გავსლის შემდეგ, აღნიშნულ საიტზე გადახვევის ფუნქცია არ არის ხელმისაწვდომი, სტატიას თან ერთვის თითოეული მედიასაშუალების facebook-გვერდზე თუ ოფიციალურ ვებგვერდზე ატვირთული live რეჟიმში გადაღებული ვიდეობი.
მთავარი არხი - https://www.facebook.com/TvMtavari/videos/1099926734938066;
ფორმულა - https://www.facebook.com/share/v/18TtAEjy4j/;
ტელეკომპანია პირველი - https://www.facebook.com/share/v/19iaKYYkBU/;
რუსთავი 2 - https://www.facebook.com/rustavi2/videos/1761370088050587;
პირველი არხი - https://www.facebook.com/share/v/151hoKukRM/;
იმედი - https://www.imedi.ge/ge/video/177496/imedi-live--6-dekemberi-2024-tseli#!?page=6;

აქციის მონაწილეებმა ფოიერვერკების სროლა 23:20-ზე დაიწყეს. ისინი თავდაპირველად - ჰაერში, შემდეგ პარლამენტის შენობის მიმართულებით ისროდნენ (რომლის შიდა პერიმეტრზე, ღია სივრცეში, განლაგებულნი იყვნენ ფარებით შეიარაღებული საპოლიციო ძალები).

ამ ინციდენტებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა (პირველი ინციდენტი ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა, თუმცა არ გაგრძელებულა 5 წუთზე მეტხანს). სამთავრობო იმედის პირდაპირ ეთერშიც წამყვანმა მაგდა ანიკაშვილმა არაერთხელ დააზუსტა, რომ 6 დეკემბრის აქციაზე პიროტექნიკის გამოყენება კი განახლდა, თუმცა ეს არ იყო პოლიციის მიმართ დამიზნებით. მათ შორის, 23:44 წუთზე მან საკუთარ მაყურებელს ამის შესახებ კიდევ ერთხელ შეახსენა. *„ცოტა ხნის წინ განახლდა პიროტექნიკის გამოყენება. დღევანდელი დღე ასე ხასიათდება, რომ იყენებენ პიროტექნიკას, შედარებით უფრო ინტენსიურად, ვიდრე გუშინ და გუშინწინ ვნახეთ, რომ საერთოდ არ იყო. გუშინ იყო სულ სამი ეპიზოდი და დღეს, თუ არ ვცდები, კვლავაც მესამეჯერ ხდება. უმიზნებენ პარლამენტის შენობას, ჯერჯერობით ასეთია მოცემულობა. სამართალდამცავებს არ უმიზნებენ ეს დღეები“,* - განაცხადა ანიკაშვილმა.

მსგავსი შეფასება გააკეთა რუსთავი 2-ის წამყვანმაც, რომელმაც ჭიჭინაძის ქუჩაზე სპეცრაზმის მობილიზებამდე 15 წუთით ადრე, მაყურებელს შეახსენა (23:46): *„გუშინ და გუშინწინაც შსს-ს არ მიუმართავს სპეციალური ღონისძიებისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ აქცია იყო საკმაოდ მშვიდობიანი ხასიათის და მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია. შეიძლება ითქვას, რომ ახლაც ასე მიმდინარეობს, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ დაპირისპირებას და დაძაბულობას, რომელიც იყო რამდენიმე წუთის წინ თავისუფლების მეტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე“.*[15]

მართლაც, 6 დეკემბრის საღამოს მთავარი დაძაბულობის კერა მეტრო თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო, სადაც პოლიციელები მოქალაქეებს ჩხრეკდნენ (მათ შორის, დააკავეს რამდენიმე მოქალაქე).[16]

[15] რუსთავი 2 - სპეციალური გამოშვება. https://www.facebook.com/share/v/1BGbiUiWHt/

[16] თავისუფლების მეტროში მოქალაქეებს უკანონოდ ჩხრეკენ - დაკავებულია ერთი ადამიანი, ფორმულა, 06.12.2024, https://formulanews.ge/News/121244

ჭიჭინაძის ქუჩაზე სპეცრაზმისა და წყლის ჭავლის მობილიზება

რუსთაველზე, კერძოდ კი, ჭიჭინაძის მხრიდან, სპეცრაზმი და ჭავლის მანქანა მხოლოდ 00:00 -ზე გამოჩნდა, დაახლოებით ორმოც წუთში მას შემდეგ, რაც ფოიერვერკები პირველად დამიზნებით ისროლეს პარლამენტის შენობის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის მომიტინგეები პიროტექნიკას აღარ იყენებდნენ. ზუსტად იმ პერიოდში პირდაპირ ეთერში ჩაერთო „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტი, რომელმაც მაყურებელს აუწყა, რომ ათი წუთის განმავლობაში, სიმშვიდე იყო პერიმეტრზე და რომ პიროტექნიკა არ გამოუყენებიათ (23:59). მართლაც, სხვადასხვა მედიის პირდაპირი ჩართვიდან ჩანს, რომ პარლამენტის მიმართულებით ბოლოს დამიზნებით ისროლეს 23:43 სთ-ზე, ხოლო ჰაერში - 23:46 სთ-ზე და მას შემდეგ პიროტექნიკა რუსთაველის გამზირზე არ გამოუყენებიათ.

მეტიც, სამთავრობო „იმედის“ პირდაპირ ეთერში გამოჩნდა წამყვანის გაოცებაც იმის გამო, თუ რატომ გახდა სპეცრაზმის მობილიზება საჭირო. მან ივარაუდა, რომ შეიძლება პიროტექნიკის გამოყენებას ინტენსიური ხასიათი მიეცა (თუმცა, რამდენიმე წუთით ადრე, თავად აღნიშნა, რომ მხოლოდ სამი ეპიზოდი შენიშნა და ისიც - ჰაერში გასროლის ან პარლამენტის შენობისკენ დამიზნების და მას შემდეგ, ამაზე ყურადღება აღარ გაუმახვილებია), ან აქციის მიმდინარეობისას ვინმე დაშავდა და წყლის ჭავლის მანქანის გამოყვანა ამან განაპირობა (00:03).[17]

სპეცრაზმის გამოჩენას მომიტინგეების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია და აგრესიული ქმედებები მოჰყვა. 00:02-დან განახლდა პიროტექნიკის გამოყენება, მათ შორის, სპეცრაზმის მიმართ დამიზნებით. თუმცა ინციდენტი ორ წუთში ამოიწურა და მომიტინგეები თავიანთ ემოციებსა და დამოკიდებულებას მხოლოდ ლაზერების გამოყენებითა და საპროტესტო შეძახილებით გამოხატავდნენ.

[17] მოგვიანებით (00:05 წთ-ზე), მაგდა ანიკაშვილმა გაავრცელა დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ დაშავდა ერთი პოლიციელი და ივარაუდა, რომ შესაძლოა ეს სპეცრაზმის გამოყვანის მიზეზი გამხდარიყო. თუმცა პოლიციელის დაშავების ეპიზოდი ვერ დააზუსტა. ამ განცხადების დროს სპეცრაზმისა და პოლიციის მიმართულებით დამიზნებით სროლა დაფიქსირდა, რასაც, შესაძლოა, წამყვანის განცხადება ეხებოდა, თუმცა აღნიშნული ქმედება თავად სპეცრაზმის გამოჩენას მოჰყვა და ამდენად, მისი გამოჩენის მიზეზი ვერ იქნებოდა. ეს ინფორმაცია მაგდა ანიკაშვილმა არც მას შემდეგ მოგვაწოდა, რაც 00:06-ზე გამოაცხადა, რომ შსს-მ პოლიციის თანამშრომლის დაზიანება დაადასტურა.

ნიღბიანების „კონტრაქცია“ - გდდ-ის თანამშრომლების პროვოკაცია და ვითარების დაძაბვის მცდელობები

ერთადერთი მედიასაშუალება, რომელიც, სპეცრაზმის გამოჩენის მომენტიდან, მასსა და დემონსტრანტებს შორის არსებულ ვითარებას უწყვეტად, ახლო კადრით აშუქებდა, „მთავარი არხი“ იყო, შესაბამისად, ამ ნაწილში სწორედ „მთავარი არხის“ კადრებს ვეყრდნობით.

ამ კადრების მიხედვით, მოვლენები საინტერესოდ ვითარდება 00:05-დან, როდესაც სპეცრაზმის წინ განლაგებულმა, შავებში ჩაცმულმა, ჯგუფმა (რომელთაგან ნაწილი ყოველგვარი მაიდენტიფიცირებელი ნიშნის გარეშე იყო, ნაწილს კი, „მთავარი არხის“ ჟურნალისტის ინფორმაციით, დეტექტივების სამმართველოს ფორმა ეცვა), აქციის მონაწილეების მიმართ, დაიწყო სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომელსაც არ ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი.

ამ პირობებში აქციის მონაწილეები ცდილობდნენ, რუპორის გამოყენებით ემოციურად მიემართათ ნიღბიანებისთვის. ისინი მოუწოდებდნენ საერთო მტრის, რუსეთის, წინააღმდეგ ერთ მუშტად გაერთიანებისკენ (00:10). თუმცა ნიღბიანების რიგებიდან კვლავ გინება ისმოდა, რასაც მომიტინგეების მხრიდანაც მოჰყვა უარყოფითი რეაქცია, მათ შორის, რამდენიმე ბოთლის სროლა (00:12). ასევე საინტერესოა, რომ ნიღბიანმა პირებმა, გარკვეული მითითების მიღების შემდეგ, დაიწყეს სკანდირება: „საქართველოს გაუმარჯოს“, რაც, მათივე მხრიდან, გინებამ ჩაანაცვლა (00:15). მალევე ნიღბიანებმა დაიწყეს საკუთარი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირება. ერთ-ერთი მათგანი მთავარი არხის ჟურნალისტს მიმართავს პირდაპირ და ეუბნება, რომ „ისინი, ვინც „საქართველოს მცველებს“ რუსებს ეძახიან, თავად არიან სამარცხვინო რუსები“(00:19). შემდეგ კი აქციის მონაწილეებსა და ნიღბიანებს შორის შემდეგი დიალოგი გაიმართა (00:20):

აქციის მონაწილე: მშვიდობიანი აქცია გვინდა ჩვენც.

გდდ-ის თანამშრომელი: მერე ჩაატარეთ... ბოთლების სროლა არ არის მშვიდობიანი.

აქციის მონაწილე: არა, არა, ღადაობ?

აქციის მონაწილე: მომისმინე, მომისმინე, ე.

გდდ-ის თანამშრომელი: ე, არა. ე, არა. გისმენ.

აქციის მონაწილე: შენებიც გვაყენებენ შეურაცხყოფას!

გდდ-ის თანამშრომელი: ვინ?

აქციის მონაწილე: რა ვინ, თითს ხომ ვერ დავადებ.

გდდ-ის თანამშრომელი: ქვებს რომ გადმოგვიყრი...

გდდ-ის თანამშრომელი: ქვებს ნუ ისვრით და ბოთლებს ნუ ისვრით.

აქციის მონაწილე: ბოთლია პრობლემა და ნაცემი 300 ბავშვი პრობლემა არ არის? იქნება გავბრაზდით და ბოთლებს ამიტომ ვისვრით.

გდდ-ის თანამშრომელი: ჩვენც ვბრაზდებით.

გდდ-ის თანამშრომელი: მე იცი როგორ ვბრაზდები? მაგრამ ჩემი სიბრაზე შენი პრობლემა არ უნდა იყოს. ანალოგიურად, შენი სიბრაზე..

ეს მოვლენები კარგად წარმოაჩენს, რომ აქციის მონაწილეების პირისპირ დგანან სამართალდამცავების სახელს ამოფარებული არაიდენტიფიცირებადი პირები, რომლებიც, წესრიგის დაცვის ნაცვლად, თავად არღვევენ მას, ქმნიან დაპირისპირებულ გარემოს, გამიზნულად ამწვავებენ სიტუაციას, შეურაცხყოფას აყენებენ აქციის მონაწილეებს და რაც მთავარია, მკაფიოდ აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს (უარყოფით დამოკიდებულებას, ბრაზს) ზოგადად აქციისა და მასში მონაწილე პირების მიმართ, მათ შორის, სკანდირებენ, რაც, ფაქტობრივად, მათი მხრიდან „კონტრაქციას“ ემსგავსება.

შეკრებისა და მანიფესტაციის დროს სამართალდამცავი წარმოადგენს ნეიტრალურ პირს, რომლის უპირველესი ფუნქცია თავად აქციის მონაწილეების უსაფრთხოების დაცვაა. შესაძლოა მას მოუწიოს მისი მისამართით ნათქვამი არასასიამოვნო რეპლიკებისა თუ შეურაცხმყოფელი ფრაზების მოსმენა, თუმცა, თუკი ეს ჯდება გამოხატვის თავისუფლების

ფარგლებში, მას აქვს თმენის ვალდებულება, ხოლო თუ ცდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, მოახდინოს კანონით გათვალისწინებული რეაგირება. სიტყვიერი შეურაცხყოფა ან მოსაზრებების დაფიქსირება სცდება სამართალდამცავის უფლებამოსილებას და წარმოადგენს პროფესიული ეთიკის ნორმების უხეშ დარღვევას.

მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეების მიმართ სამართალდამცავებმა აშკარად აჩვენეს უარყოფითი და აგრესიული დამოკიდებულება, რთულია დაჯერება, რომ მათი შემდგომი ქმედებები წარმოადგენდა არა სადამსჯელო, არამედ კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ და პროპორციულ ღონისძიებებს.

<u>გდდ-ის წარმომადგენლების პროვოკაციები და აქციის დაშლის საფუძვლის შექმნის მცდელობები</u>

აქციის მონაწილეებსა და ნიღბიანებს შორის დიალოგის შემდეგ, რომელზეც ორივე მხარეს მდგომნი თანხმდებიან, რომ მშვიდობიანი აქციის გამართვა საერთო ინტერესს წარმოადგენს, აქციაზე განსაკუთრებული დაძაბულობა არ შეინიშნებოდა, თუმცა პარალელურ კადრში ჩანს, რომ სწორედ ამ მომენტში, თავისუფლების მოედნის მხრიდან, მობილიზებულია სპეცრაზმი და ჭავლის მანქანა, რომელიც რუსთაველის ქუჩისკენ წამოსასვლელად ემზადება. ჭიჭინაძის ქუჩაზე კი გრძელდება აქციის მონაწილეების შეძახილები, რომლებიც, ზოგადად, ე.წ. მთავრობასა და რუსული პოლიტიკის გამტარებლებს მიემართება (00:22).

საპროტესტო შეძახილების ფონზე, კადრში ჩანს, თუ როგორ იხედებიან ნიღბიანები ტელეფონში, შემდეგ კი აქციის მონაწილეებს აკვირდებიან, მათი მიმართულებით ხელს იშვერენ და თათბირობენ (00:25). ეს ყველაფერი აჩენს განცდას, რომ ნიღბიანებმა მიიღეს ბრძანება, მონაწილეების დაკავების შესახებ, თუმცა კონკრეტულ ქმედებებზე ისინი არ გადასულან. 00:28 სთ-ზე ჭიჭინაძის ქუჩის მხრიდან სიმშვიდე იყო, რა დროსაც, თავად ადგილზე მყოფი ჟურნალისტიც აღნიშნავს, რომ სიტუაცია იმ დროისთვის განეიტრალებულია, შესაბამისად, არაფერი მოასწავებს იმ რადიკალური ზომების საჭიროებას, რომლებსაც, ამ მომენტიდან რამდენიმე წუთში, „სამართალდამცავები“ მიიღებენ.

მომიტინგეების მორიგი გამოწვევის მიზნით, 00:29 სთ-ზე ნიღბიანები კვლავ იწყებენ სკანდირებას: „საქართველოს გაუმარჯოს“ და ცდილობენ დაპირისპირებაში შესვლას აქციის მონაწილეებთან. მომდევნო სამი წუთის განმავლობაში, სიმშვიდეა, აქციის მონაწილე რამდენიმე პირი ინდივიდუალურად უახლოვდება ნიღბიანებს და მათთან გასაუბრებას ცდილობს. თუმცა, მოულოდნელად, 00:33 სთ-ზე იწყება ვითარების სწრაფი ესკალაცია, რომლის საბაბადაც გამოყენებულია აქციის მონაწილე ერთ-ერთი ქალბატონის შელაპარაკება ერთ-ერთ ნიღბიანთან (00:33:38 - 00:34:10). ვარაუდს, რომ ეს მხოლოდ საბაბია და რომ დაშლა, დიდი ალბათობით, ამის გარეშეც დაიწყებოდა, ამტკიცებს შელაპარაკებამდე რამდენიმე წამით ადრე, სპეცრაზმისა და ჭავლის მანქანის მოძრაობის დაწყება თავისუფლების მოედნიდან პარლამენტის შენობისკენ (00:33:30).

<u>აქციის დაშლა</u>

ნიღბიანი, რომელსაც შელაპარაკება ჰქონდა აქციის მონაწილესთან, იწყებს მომიტინგეების მიმართულებით გადაადგილებას (00:34:15), მას უკან მიჰყვებიან დანარჩენი ნიღბიანებიც და იწყება ფიზიკური ძალის გამოყენებით აქციის მონაწილეების დაკავება, რაც ჰგავს არა პოლიციის თანამშრომლების მიერ წინასწარ მიცემულ ბრძანებას, არამედ ნიღბიანების სპონტანურ ქმედებებს, რა დროსაც აკავებენ ყველას, ვინც კი ხელში მოჰყვებათ (00:34:25-დან).

ეს ქმედება, როგორც უკვე აღვნიშნეთ და რასაც ჩვენ მიერ განხილული ფაქტები ადასტურებს, მოულოდნელი იყო, რადგან მცირედი შელაპარაკებების გარდა, რომლებიც თავად „სამართალდამცავების“ მხრიდანაც იყო პროვოცირებული, ჭიჭინაძის ქუჩაზე სხვა სახის დაძაბულობა არ შეინიშნებოდა. აღსანიშნავია, რომ ჭიჭინაძის ქუჩაზე განვითარებული მცირედი დაძაბულობის შესახებ, მონაწილეთა დიდი ნაწილი ინფორმირებულიც კი ვერ იქნებოდა. როგორც აღინიშნა, ამ სახის დაძაბულობას პირდაპირ ეთერში მხოლოდ ერთადერთი მედიასაშუალება გადმოსცემდა და ნაკლებ სავარაუდოა, აქციაზე მყოფი პირები, რომლებიც დაძაბულობის კერიდან დისტანცირებული იყვნენ, სწორედ ამ მედიასაშუალების მეშვეობით, აქციიდან ეცნობოდნენ ჭიჭინაძის ქუჩაზე მიმდინარე მოვლენებს.

სულაც რომ აქციის მონაწილეების მცირე ნაწილის მხრიდან ადგილი ჰქონოდა ცალკეულ ძალადობრივ ქმედებებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი

პრაქტიკის მიხედვით, იზოლირებული ძალადობის შემთხვევები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მთლიანი აქცია ავტომატურად არამშვიდობიანად გამოცხადდეს და შეიქმნას მისი დაშლის სამართლებრივი საფუძველი.[18] მცირე ჯგუფებისა თუ პროვოკატორების ძალადობრივი ქმედებები აქციის მონაწილეთა უმრავლესობას არ ართმევს შეკრების მანიფესტაციით სარგებლობის უფლებას. აქციაზე მობილიზებული სამართალდამცავების გამოწვევაც ეს არის, რომ დაიცვას უმრავლესობის უფლება და უზრუნველყოს ინდივიდუალური ძალადობრივი ქმედებების იმგვარად აღმოფხვრა, რომ დანარჩენ მონაწილეებს ხელი არ შეეშალოთ თავიანთი უფლების მშვიდობიანად განხორციელებაში.

აქციის დაშლის საწყის ეტაპზე, მისი დაშლის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობაზე გაამახვილა ყურადღება სახალხო დამცველმაც. ,,სახალხო დამცველი ეხმიანება რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციას და აღნიშნავს, რომ იმ დროისთვის (00:34), როცა სამართალდამცავმა ორგანოებმა აქციის დაშლა დაიწყეს, აქცია იყო მშვიდობიანი და არ არსებობდა მისი დაშლის და შეკრების თავისუფლებაში ჩარევის სამართლებრივი საფუძველი. *„სახალხო დამცველი მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეწყვიტოს შეკრების დაშლა, მონაწილეთა დაკავებები და სპეციალური საშუალებების გამოყენება, ხოლო პროტესტის მონაწილეებს მისცეს საშუალება, განაგრძოს აქცია”*, - ვკითხულობთ სახალხო დამცველის განცხადებაში.[19]

მიუხედავად სახალხო დამცველის მოწოდებისა, რომ გაგრძელებულიყო მშვიდობიანი აქცია, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქმედებები ამას წარმოუდგენელ ამოცანად აქცევდა. კანონიერი საფუძვლის გარეშე, აქციის მოულოდნელმა დაშლამ და ნიღბიანი ჯგუფების მიერ მონაწილეების დაკავებამ ფიზიკური ძალის გამოყენებით, შექმნა დაძაბულობა და გამოიწვია მონაწილეთა საპასუხო აგრესიული ქმედებები, რასაც, თავის მხრივ, სამართალდამცავების მხრიდან კიდევ უფრო მეტი ძალის გამოყენება მოჰყვა.

[18] Frumkin v. Russia, no. 74568/12, 05.01.2016. https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-159762; Human Rights Handbook on Policing Assemblies, OSCE/ODIHR, 2016, 104, https://www.osce.org/files/f/documents/c/5/226981.pdf

[19] სახალხო დამცველის განცხადება რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დაშლასთან დაკავშირებით.

<u>აქციის დაშლისა და ტერიტორიის დატოვების შესახებ არასათანადო გაფრთხილება</u>

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 00:00 -ზე, ჭიჭინაძის ქუჩაზე სპეცრაზმის პირველი გამოჩენისას, მომიტინგეები არც ერთი ფორმით არ გაუფრთხილებიათ, რომ აქცია ძალადობრივი იყო და არც მოუწოდებიათ, რომ მიმდებარე ტერიტორია დაეტოვებინათ. ამის ნაცვლად, ვიხილეთ მათი მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფები და შეძახილები, რაც წესრიგის აღდგენის მცდელობას ნაკლებად ჰგავდა. თუმცა „იმედის“ ეთერში წამყვანმა საზოგადოებას ისე მიაწოდა ინფორმაცია, თითქოს სპეცრაზმი სწორედ ამ მიზნით გამოვიდა ჭიჭინაძის ქუჩაზე და რომ ამ სახის გაფრთხილება ნამდვილად იყო.

*„შეგახსენებთ, რომ საპოლიციო ძალები სწორედ მაშინ გამოჩნდნენ, სპეცდანიშნულების რაზმი, უფრო სწორად, როცა პიროტექნიკის გამოყენებამ გამოიწვია ერთ-ერთი პოლიციელის დაშავება. სწორედ შემდეგ უკვე, **სპეცდანიშნულების რაზმი გამოვიდა ჭიჭინაძის ქუჩაზე და დაიწყო მოქალაქეთა გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ მათ უნდა გაათავისუფლონ ტერიტორია.** მანამდე სრულიად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია. მხოლოდ პოლიციელები იდგენენ ჭიჭინაძის და ჩიტაძის ქუჩაზე, ისევე როგორც ბოლო ორი დღის განმავლობაში”*, - განაცხადა მაგდა ანიკაშვილმა ტვ „იმედის“ ეთერში 00:48 წთ-ზე.

ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. ამ სახის გაფრთხილებისთვის საპოლიციო ძალებს აქვთ შესაბამისი ტექნიკური საშუალებები და თუკი აქციის მონაწილეების გასაფრთხილებლად გამოვიდნენ, ეს სწორედ შესაბამისი საშუალებით უნდა გაეკეთებინათ, რათა გაფრთხილება გასაგები ყოფილიყო არა მხოლოდ რამდენიმე ადამიანისთვის, არამედ აქციის ყველა მონაწილისთვის. მსგავსი გაფრთხილების მიცემის ფაქტი არც „მთავარი არხის“ უწყვეტ კადრებში ჩანს.

მეტიც, სპეცრაზმის გამოჩენის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა განცხადება,[20] რომლის ზუსტი დროც უცნობია. თუმცა „იმედის“ პირდაპირ ეთერში შსს-ს ეს განცხადება მაგდა ანიკაშვილმა 00:19:32-ზე წაიკითხა, ხოლო „რუსთავი 2-ის“ წამყვანმა 00:19-ზე თქვა, რომ განცხადება რამდენიმე წამის წინ გამოქვეყნდა.

[20] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 07.12.2024. https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16510

როგორც ჩანს, ყველაზე ადრე ის შსს-ს ოფიციალურ facebook-გვერდზე გავრცელდა (12:15).[21] ამ განცხადებითაც კი ირკვევა, რომ სპეცრაზმის მობილიზების მიზანი არა - აქციის დაშლის დაწყება, არამედ მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფა იყო. აღნიშნული განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყებოდა აქციის მიმდინარეობისას არაკანონიერი ქმედებების ცალკეულ შემთხვევებზე და აქციის მონაწილეებს მოუწოდებდა არა - ტერიტორიის დროულად დატოვებისკენ, არამედ პროტესტის კანონით დადგენილ ფარგლებში გამოხატვისკენ. *„მოვუწოდებთ აქციის მონაწილეებს, პროტესტი გამოხატონ კანონით დადგენილ ფარგლებში. თითოეულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, პოლიციის მხრიდან, შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება“* - ვკითხულობთ იმ ერთადერთ განცხადებაში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა უშუალოდ 6-7 დეკემბრის აქციის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ხმამაღლამოლაპარაკე მოწყობილობას, ამ სახის გამაფრთხილებელი სიგნალი მხოლოდ მას შემდეგ გაისმა, რაც მარბიელი რაზმი აქციის მონაწილეთა მასაში შევარდა და ძალის გამოყენებით, აქციის ათამდე მონაწილე დააკავა. როგორც ცნობილია, ეს ხმა მოქალაქეებს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებას ამცნობს და ამ ღონისძიებების გამოყენებამდე ტერიტორიის დატოვებისკენ მოუწოდებს, თანაც ისე, რომ ამ პროცესში აქციის დანარჩენმა მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ მოხუცების, ქალებისა და ბავშვების მიმართ.

ეს ხმა განსაკუთრებულად ცინიკურს ხდიდა ნიღბიანების მხრიდან მოწყობილ განუკითხაობას, რა დროსაც ამ ჯგუფებიდან არც ერთი გათვალისწინებული არ იყო და არც წინა რიგებში მყოფ მონაწილეებს მისცემიათ პერიმეტრის ნებაყოფლობით დატოვების შესაძლებლობა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ აქციის მონაწილეებმა არ იცოდნენ, თუ ვინ და რის საფუძველზე აკავებდა მათ, რადგან არანაირი მაიდენტიფიცირებელი ნიშანი მათ დამკავებლებს არ გააჩნდათ. ამასთან, ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც, რამდენიმე წუთის წინ, თავად ქმნიდნენ ძალადობრივ გარემოს და იგინებოდნენ აქციის მონაწილეების მიმართულებით.

[21] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 07.12.2024, 12:15 AM. https://www.facebook.com/share/p/19bTQ6uyDY/

შექმნილ ვითარებაში, აზრი დაეკარგა გამაფრთხილებელ ხმას და მონაწილეებს პერიმეტრის მშვიდად დატოვების შესაძლებლობა, უბრალოდ, არ მიეცათ. ამას დაემატა 9 აპრილისა („რუსთავი 2-ის“ პირდაპირი ეთერის მიხედვით, 00:08 სთ-დან ჩნდება სპეცრაზმი. 00:35-დან „იმედზე“ ჩანს, რომ სპეცრაზმს, სავარაუდოდ, წინ მიუძღვის გდდ-ის დირექტორის, ზვიად ხარაზიშვილის („ხარება“) მანქანა და სპეცრაზმი უკვე მიემართება რუსთაველის ქუჩისკენ) და თავისუფლების მოედნის მხრიდან მომავალი სპეციალური ძალები, რომლებმაც აქციის მონაწილეების ბლოკირება სამი მხრიდან მოახდინეს. ამ პირობებში, მორბენალი რაზმები აგრძელებენ „დაჭერობანას“, თავისუფლების მოედნიდან მომავალი სპეცდანიშნულების რაზმები კი სულ უფრო უჩქარებენ ფეხს, რაც აქციის მონაწილეებს ურთულებს მშვიდობიანად აქციის პერიმეტრის დატოვებას, ხოლო ნიღბიანებს უადვილებს მათ ხელში ჩაგდებას.

ამ პერიოდში ნიღბიანები წიწაკის სპრეის მხოლოდ ეპიზოდურად, თუმცა უმისამართოდ, ასხამდნენ (პირველი შემთხვევა 00:43-ზე ჩანს). წყლის ჭავლი კი პირველად 01:10-ზე გამოიყენეს, მაშინ, როცა ვითარება არაფრით განსხვავდებოდა რამდენიმე წუთის წინ არსებულისგან. ამ შემთხვევაშიც, ხმოვანი გაფრთხილება (რომელიც ამ მომენტამდე 10 წუთით ადრე გამოირთო და არ ისმოდა) უშუალოდ ამ სპეციალური საშუალების გამოყენების შემდეგ გაისმა (01:10).

აღწერილი ფაქტები ბევრი მიმართულებით აჩენს კითხვის ნიშნებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ დაშლის გადაწყვეტილება სრულიად კანონიერი იყო. საპოლიციო ძალების მიერ აქციის მართვა, მათ შორის, დაშლა, უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.[22] ფურცელზე ამ სახის სტანდარტებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროც ითვალისწინებს. კერძოდ, მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002-ე ბრძანება ადგენს „შეკრებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციას“.[23] ინსტრუქციის მიზანია შეკრებისა და

[22] Human Rights Handbook on Policing Assemblies, OSCE/ODIHR, 2016; Guidelines on Freedom of Peaceful Assembly (3rd Edition), CDL-Ad(2019)017, Venice Commission, OSCE/ODIHR, 8 July 2019. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017-e; Guidelines on Freedom of Peaceful Assembly (2nd Edition), Venice Commission, OSCE/ODIHR, https://www.osce.org/files/f/documents/4/0/73405.pdf; Article 11 The conduct of public assemblies in the Court's case-law, European Court of Human Rights, 22 May 2013. https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Public_assemblies_ENG

[23] აღსანიშნავია, რომ ეს ბრძანება არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. შესაბამისად, რთულია მასში სპონტანური ცვლილებების განხორციელების კონტროლი. არ არის გამორიცხული, „ქართლ ოცნებას“ მასში, ისევე, როგორც სხვა

მანიფესტაციის დროს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფა.

ინსტრუქციის მიხედვით, სპეციალური ღონისძიების დაწყებამდე, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეები, მისცეს მათ გონივრული ვადა (არანაკლებ 30 წუთი), კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად (მუხლი 7).

ამ ჩანაწერის მიხედვით, გაფრთხილებისა და ტერიტორიის საკუთარი ნებით დატოვების უფლების მიცემა საჭიროა არა მხოლოდ ისეთი სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე, როგორებიცაა წყლის ჭავლი, წიწაკის სპრეი, ცრემლსადენი გაზი, არამედ ფიზიკური ძალის გამოყენებამდეც. ფიზიკური ძალის გამოყენებაში იგულისხმება სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენება, მათ შორის, ორთაბრძოლის სპეციალური ილეთები საკუთარი თავის ან/და სხვა პირთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესაძლო ჩამდენი პირის დასაკავებლად. ამ სახის ძალის გამოყენების უფლება სამართალდამცავს მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოეშობა, თუ არაძალისმიერი მეთოდებით ვერ ხერხდება მისთვის კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულება (მუხლი 3(კ)).

კადრებში ნათლად ჩანს, რომ ნიღბიანი პირები სწორედ ფიზიკური ძალის გამოყენებით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, აკავებენ აქციის მონაწილეებს. მათ შორის, თითო პირს აკავებენ და უსწორდებიან ჯგუფურად და პატრულ-ინსპექტორამდე ძალის გამოყენებით მიათრევენ. აღსანიშნავია, რომ ამ ფორმით დაკავებულ აქციის მონაწილეთა ნაწილს აღენიშნება ხილული დაზიანებები, განსაკუთრებით - სახისა და თავის არეში, რაზეც ყურადღება სახალხო დამცველმაც გაამახვილა.[24] თუმცა, კადრებზე დაყრდნობით, საწყის ეტაპზე, როდესაც აქციის

კანონებში, დაჩქარებული ცვლილებები შეეტანა. თუმცა, ინსტრუქციის შეცვლის შემთხვევაშიც, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი აგრძელებს მოქმედებას და სამართალდამცავთა ქმედებები ამ სტანდარტს უნდა აკმაყოფილბდეს.

[24] სახალხო დამცველმა დაკავებულები მოინახულა, 07.12.2024.
https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelma-dakavebulebi-moinakhula

მონაწილეები მშვიდობიანად იდგნენ, არ ჩანს, რატომ გახდა საჭირო მათი დაკავება სწორედ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით.

კადრებიდან ასევე ირკვევა, რომ ამ სახის ღონისძიების გატარებას წინ არ უძღოდა შესაბამისი გაფრთხილება. ხმამაღლამოლაპარაკე ჩაირთო მხოლოდ მას შემდეგ, რაც რამდენიმე პირი უკვე ხსენებული მეთოდების გამოყენებით დააკავეს. დანარჩენების მიმართ ძალის გამოყენება, მათ შორის, წიწაკის სპრეის გამოყენება კი უკვე ხმის ფონზე მიმდინარეობდა. ამდენად, მოთხოვნა, რომ შესაბამისი ღონისძიებების გამოყენებამდე, მონაწილეებისთვის მიეცათ გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 30 წუთზე ნაკლები, არ შესრულდა.

ინსტრუქციის მიხედვით, გაფრთხილებისა და გონივრული ვადის მიცემის გარეშე ღონისძიებების დაწყება შესაძლებელია მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში: როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან/და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია/შეუძლებელია.

რომ გავიხსენოთ, ღონისძიებების დაწყებამდე, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ აქციის მონაწილეებს, სკანდირებდნენ, დისკუსიაში შედიოდნენ აქციის მონაწილეებთან, რასაც აქციის მონაწილეების მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა, ბოთლების სროლის რამდენიმე ეპიზოდი მოჰყვა და არა - სხვა სახის ძალის გამოყენება. შესაბამისად, აქციის დაშლის გადაწყვეტილების მიღების მომენტში, ვითარება არ იყო იმ სიმწვავის, რომ დაყოვნებას გამოუსწორებელი ზიანი მოეტანა.

საინტერესოა ასევე ისიც, თუ რა სახის გაფრთხილებას იძლევა ხმამაღლამოლაპარაკე. ინსტრუქციის მიხედვით, გაფრთხილება უნდა შეიცავდეს მონაწილეთა მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევის მოკლე აღწერას და დაკავებული ტერიტორიის დატოვებისთვის გონივრულ დროსა და მარშრუტს, ხოლო სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში - ინფორმაციას ფიზიკური ძალის ან/და სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე (მუხლი 7(2)).

ამ მოთხოვნის სრული უგულებელყოფით (რაც წლების განმავლობაში დადგენილ პრაქტიკას წარმოადგენს), შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონიერ მოთხოვნად მიჩნეულია ხმამაღლამოლაპარაკის მიერ გაჟღერებული შემდეგი ფრაზა, რომელიც, აქციის მასშტაბიდან გამომდინარე და მონაწილეთა შეძახილების, ხმაურისა და სტვენის გათვალისწინებით, შეიძლება არც აღწევდეს აქციის სიღრმეებში:

„მოქალაქენო, გთხოვთ დაიშალოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ მიმართ გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები მართლწესრიგის აღსადგენად და სამოქალაქო სიმშვიდის დასამყარებლად! გთხოვთ მოარიდოთ წესრიგის დამყარების ადგილს ბავშვები, ქალები და მოხუცები!“.

გაფრთხილების ამ ფორმასთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრება ჰქონდა აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელიც სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო. *„[მოწმე პოლიციელები] ამბობდნენ, რომ ხმამაღლა მოსაუბრე ტექნიკას არ დავემორჩილე - მე სადაც ვიყავი, იქ არანაირი ხმოვანი გაფრთხილება არ ყოფილა, მხოლოდ რუსთაველზე იყო ეს გაფრთხილება, პარლამენტთან. და მეორეც, ცოტა აკაკიშანიძეობა კი გამომდის, მაგრამ რასაც ის ქალი ამბობს, სამართლებრივად არ არის ისეთი წინადადება, რასაც მოქალაქე უნდა დაემორჩილოს. ის არ ამბობს მოვითხოვო, ამბობს გთხოვთო და თხოვნა შეიძლება გაითვალისწინო, შეიძლება არა“,* - განაცხადა 7 დეკემბრის ღამეს რუსთაველის გამზირზე დაკავებულმა 19 წლის ნიკა ბერიძემ.[25]

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, პირველ რიგში, არ არსებობდა აქციის დაშლის საფუძველი, რამდენადაც არათუ ქმედებებს არ მიუღწევია იმ მასშტაბისთვის, რომელიც მთლიანად აქციას აქცევდა ძალადობრივად და გამოიყვანდა შეკრების თავისუფლების ფარგლებიდან, არამედ უშუალოდ ამ გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის ცალკეული შემთხვევებიც კი იშვიათად ფიქსირდებოდა. მეტიც, როგორც არაერთხელ აღინიშნა, უკანონო ქმედებები თავად სამართალდამცავების მხრიდან დაფიქსირდა, რამდენადაც ეს პროვოკაციული ქმედებები ემსგავსებოდა კონტრაქციის გამართვას (რისი უფლებაც მათ არ

[25] „19 წლის ნიკას დაკავების ორი ვერსია - რა ქნეს რუსთაველზე და რა თქვეს სასამართლოზე პოლიციელებმა“, რადიო თავისუფლება, 17 დეკემბერი, 2024. https://www.radiotavisupleba.ge/a/ცხრამეტი-წლის-ნიკას-დაკავების-ორი-ვერსია/33243375.html

ჰქონდათ) და არღვევდა სამართალდამცავთა პროფესიული ეთიკის ნორმებს. შესაბამისად, ხსენებული ინსტრუქციის მიხედვით, სამართალდამცავ ორგანოებს აკრძალული ჰქონდა კანონიერი შეკრების/მანიფესტაციის დაშლა ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებით (მუხლი 9(1)(კ)).

რომც დავუშვათ, რომ აქცია გასცდა კანონიერ ფარგლებს, მიიღო სრულად ძალადობრივი ფორმა და გაჩნდა მისი დაშლის სამართლებრივი საფუძველი, რამაც სამართალდამცავ ორგანოებს მისცა სპეციალური ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილება, ამ შემთხვევაშიც, პრობლემურია ძალის გამოყენების მთლიანი პროცესი. კერძოდ: სამართალდამცავებმა სიტყვიერი გაფრთხილების მიცემის გარეშე დაიწყეს სპეციალური ღონისძიებების გამოყენება; სამართალდამცავები, რომლებიც უშუალოდ იყენებდნენ ფიზიკურ ძალას, არ იყვნენ მარტივად იდენტიფიცირებადები (რაც, ერთი მხრივ, ართულებს მის სამართალდამაცვად აღქმას, მეორე მხრივ, ართულებს მის შესაძლო გადაცდომებზე რეაგირებას); არ არის ცხადი, რამდენად არსებობდა თითოეულ შემთხვევაში სპეციალური ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა და რამდენად პროპორციული იყო ამ ძალის გამოყენება; ფიზიკური ძალის გამოყენება მოხდა ისე, რომ მონაწილეებს არ ჰქონდათ საკმარისი სივრცე ტერიტორიის დასატოვებლად; სიტყვიერი გაფრთხილება, რომელიც დაგვიანებით გაჟღერდა, არ იძლეოდა ინსტრუქციით განსაზღვრულ ინფორმაციას; სიტყვიერი გაფრთხილების პირველად გაჟღერების შემდეგ, მონაწილეებს არ მიეცათ გონივრული ვადა ტერიტორიის დასატოვებლად და სამართალდამცავები, პარალელურად, აგრძელებდნენ აქციის დაშლას სპეციალური ღონისძიებების მეშვეობით.

<u>ალყაში მოქცეული აქციის მონაწილეები - „იმედისა“ და „პირველი არხის“ დუმილი ამ ფაქტთან დაკავშირებით</u>

როგორც აღვნიშნეთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძალის გამოყენებამ რუსთაველის გამზირზე სიტუაციის მკვეთრი დაძაბვა გამოიწვია, რაც აქციის მონაწილეების მხრიდან პიროტექნიკის გამოყენებასა (დამიზნებით სპეცრაზმისკენ) და სხვადასხვა ნივთის სროლაში გამოიხატა. თავის მხრივ, სპეცრაზმი პერიოდულად იყენებდა წყლის ჭავლსა და ცრემლსადენი გაზის კაფსულებს.

ასეთ ვითარებაში, საინტერესოა ერთ ფაქტზე ყურადღების გამახვილება. კერძოდ, სხვა დღეებისგან განსხვავებით, როდესაც აქციის მონაწილეების დაშლას სპეცრაზმი ეტაპობრივად მათი რუსთაველის გამზრისკენ გაწევით ცდილობდა, საიდანაც ტერიტორიის თავისუფლად დატოვების შესაძლებლობას აძლევდა, განსახილველ შემთხვევაში, სპეცრაზმმა, ფაქტობრივად, ალყაში მოაქცია აქციის მონაწილეები. „ფორმულას“ პირდაპირი ჩართვიდან ჩანს, რომ 01:19 წუთისთვის, რესპუბლიკის მოედანზე სპეცრაზმსა და წყლის ჭავლს სრულად ათვისებული ჰქონდა პერიმეტრი, რასაც, ცხადია, რამდენიმე წუთში ვერ შეძლებდა. ეს ნიშნავს, რომ იმ პერიოდში, როდესაც სპეცრაზმმა აქციის მონაწილეების თავისუფლების მოედნიდან რუსთაველისკენ გადაადგილება დაიწყო, რესპუბლიკის მოედნის მხრიდან აქციის მონაწილეების ალყაში მოქცევის გადაწყვეტილება, მინიმუმ, მომზადებული იყო და დიდი ალბათობით, უკვე დაწყებულიც.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად, აქციის დაშლისას მონაწილეები, უმეტესწილად, რესპუბლიკის მოედნისკენ გადაადგილდებიან და ამ გზით ტოვებენ ტერიტორიას (რადგან, დიდია შანსი, რომ რუსთაველის გამზირზე შემომავალ ვიწრო ქუჩებს თავად სამართალდამცავები ან მათ მიერ წახალისებული უკანონო დაჯგუფები აკონტროლებდნენ). ამასთან, „დემოკრატიის კვლევის ცენტრის“ მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით (რომელიც დემონსტრანტთა ინფორმაციას ეყრდნობა), უშუალოდ მოცემულ შემთხვევაში, „საპოლიციო ძალები განლაგებულები იყვნენ მიწისქვეშა გასასვლელებშიც, რის გამოც, უსაფრთხოდ ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა, უკიდურესად შეზღუდული იყო“.[26]

საინტერესოა, რატომ გახდა ასეთი დიდი ძალის მობილიზება საჭირო მაშინ, როცა ქართული ოცნების წარმომადგენლები ჯიუტად მიუთითებენ, რომ აქციაზე დგას 500 – 1000 მონაწილე. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ აქციის მონაწილეთა იმ რაოდენობას, რომელსაც სამთავრობო „იმედის“ დრონით გადაღებული კადრები ასახავს და „იმედი“ პირდაპირ ეთერში გვაჩვენებს (და რომელსაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ეყრდნობიან), არათუ ოთხი მხრიდან

[26] DRC: „ქართული ოცნება“ მშვიდობიან დემონსტრანტებს ორგანიზებული დანაშაულითა და მწვავე რეპრესიული პოლიტიკით ებრძვის“, 07.12.2024. https://www.democracyresearch.org/geo/1571/

სპეცრაზმის ჩაყენება, არამედ წყლის ჭავლის გამოყენება ერთი მხრიდანაც კი შეიძლება არაპროპორციულ ძალად მოჩანდეს.

კადრები, რომელთა მიხედვითაც, აქციაზე განსაკუთრებული სიხალვათე სწორედ რესპუბლიკის მოედნის მხრიდან შეინიშნებოდა, „იმედმა“ პირდაპირ ეთერში ზუსტად სპეცრაზმისა და წყლის ჭავლის პირველი გამოჩენის პარალელურად აჩვენა. მსგავსი კადრები ვიხილეთ 01:29-ზეც, რა დროსაც სპეცრაზმი უკვე რესპუბლიკის მოედნიდანაც იყო მობილიზებული. თუმცა „იმედის“ დრონს ეს არ უჩვენებია.. „იმედის“ სიუჟეტში მხოლოდ რამდენიმე წამით გამოჩნდა ვიზუალური მასალა, როგორ აკავებდნენ მოქალაქეს რესპუბლიკის მოედნის მხარეს, თუმცა აღნიშნული კადრი ეკრანიდან მალევე გაქრა და წამყვანმა მხოლოდ ვარაუდი გამოთქვა, რომ ეს შეიძლება ხდებოდეს რესპუბლიკის მოედნის მხარეს (01:41). აქედან გამომდინარე, მაგდა ანიკაშვილის გადაცემაში, რომელიც პირდაპირ ეთერში უწყვეტად აჩვენებდა მოვლენებს, ალყის შესახებ ინფორმაცია ვერცერთ ეპიზოდში ვერ მოხვდა.

„ქრონიკის“ სპეციალური გამოშვებით, რომელიც 02:06 საათზე დაიწყო, პირველად გამოჩნდა კადრი, რომელშიც ჩანს რესპუბლიკის მოედანზე განთავსებული სპეცრაზმი, თუმცა ჟურნალისტი არ ამახვილებს ამაზე ყურადღებას, ის არ აჟღერებს, რომ ეს კადრი სწორედ რესპუბლიკის მოედნიდან არის. შესაბამისად, არც იმას ამბობს, თუ რატომ დგას იქ სპეცრაზმი და რა საჭიროებამ განაპირობა დემონსტრანტების ალყაში მოქცევა.

პირდაპირ ეთერში არც „პირველი არხის“ ჟურნალისტი არ აცხადებს იმას, რომ სპეცრაზმი და წყლის ჭავლი მობილიზებულია რესპუბლიკის მოედნიდანაც. მათ აჩვენეს დრონის კადრები (01:35-ზე), თუმცა არ მიუახლოვდნენ რესპუბლიკის მოედნის ტერიტორიას.

„პირველი არხის“ პირდაპირ ეთერში 01:45-ზე ჟურნალისტმა გააჟღერა ინფორმაცია, რომ რამდენიმე ადამიანი ასევე დაკავებულია რესპუბლიკის მოედანზე, თუმცა არ დააზუსტა, თუ ვინ და რატომ დააკავა ისინი იმ ადგილას. ამასთან, ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა ტერიტორიაზე „მოამბის“ არაერთი ჟურნალისტი მუშაობს, თუმცა ამ ფაქტის გაშუქებისა და სიტუაციაში გარკვევის მიზნით, რესპუბლიკის მოედნიდან არავინ ჩართულა. მოგვიანებით, დრონის კადრი კვლავ გამოჩნდა 02:13-ზე, თუმცა არც ამ შემთხვევაში მიუღწევია დრონს

რესპუბლიკის მოედნამდე, რათა საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებლისთვის იქ არსებული სურათი ეჩვენებინა (თუმცა, დაკვირვებული თვალისთვის მაინც მოჩანდა ციმციმა, რომელიც სპეცრაზმის უკან არის ხოლმე განლაგებული).

02:23-ზე „პირველ არხზე“ ვრცელდება ინფორმაცია, რომ სპეცრაზმის წარმომადგენლებმა დააკავეს სანდრო ბუკია, რომელსაც აქვს ეპილეფსიის მძიმე ფორმა. ამ კადრში უკვე ჩანს, რომ სპეცრაზმი განლაგებულია რესპუბლიკის მოედანზეც, თუმცა ჟურნალისტი ამაზე ყურადღებას კვლავ არ ამახვილებს.

„რუსთავი 2-ის“ პირდაპირ ეთერში 01:36-დან ჩნდება რესპუბლიკის მოედანზე განლაგებული სპეცრაზმის კადრი, თუმცა წამყვანი არაფერს ამბობს ამაზე. ის მხოლოდ 02:09-ზე აცხადებს, რომ გავრცელებული ინფორმაციით, რაც რამდენიმე წუთის წინ მათ ეთერში გასული კადრებიდანაც ჩანდა, საპოლიციო ძალები მობილიზებულები არიან რესპუბლიკის მოედნის მიმართულებითაც. წამყვანი ცდილობს გაამართლოს ეს ფაქტი და ამბობს, რომ წინა დღეებშიც იხილა მსგავსი შემთხვევა, როდესაც სპეცრაზმელებმა დატოვეს გასასვლელი მეტროს მხარეს. თუმცა არ აკონკრეტებს, რომ ზოგიერთი მომიტინგე, მათ შორის, ისინი, ვინც მეტროს მხარეს გადაადგილდებოდა, ასევე დააკავეს მიმდინარე აქციის დროს.

სამთავრობო „იმედის“, „პირველი არხისა“ და „რუსთავი 2-ის“ მიერ აქციის უწყვეტად გაშუქებისას ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მაყურებლისთვის დამალვა ან არასათანადოდ გაშუქება („რუსთავი 2-ის“ შემთხვევაში), როგორიც არის თავისუფლად დარჩენილ გასასვლელ სივრცეში სპეცრაზმის ჩაყენება, შეიძლება მივიჩნიოთ გარკვეულ დისკომფორტად, რომელიც ამ ფაქტმა „ქართულ ოცნების“ პროპაგანდისტულ მედიას შეუქმნა. ჩამოთვლილი ტელევიზიები თითქოს კოორდინირებულად მოქმედებდნენ და ცდილობდნენ, არ შეემჩნიათ გარემოება, რომლის უკანონო ბუნება მათთვისაც კი მარტივად ამოსაცნობი იყო.

მართლაც, აქციის დაშლის დროს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს ეკრძალებათ აქციის მონაწილეების ალყაში მოქცევა (ინსტრუქცია, მუხლი 9(1)(მ)). „რუსთავის 2-ის“ წამყვანის მიერ ალყის გამართლების წარუმატებელ მცდელობას, თითქოს სპეცრაზმი ტოვებდა თავისუფალ გასასვლელს მეტრო „რუსთაველის“ მიმართულებით, აბათილებს კრიტიკულ

მედიაში გავრცელებული არაერთი კადრი, რომლებიც მოწმობს, რომ რესპუბლიკის მოედანზე განლაგებული სპეცრაზმი დროდადრო ტოვებდა დისლოკაციის ადგილს და ყველა მხრიდან იტაცებდა აქციის მონაწილეებსა თუ შემთხვევით იმ ტერიტორიაზე მოხვედრილ ადამიანებს.

აღნიშნულ ტერიტორიაზე დაკავებული პირების სასამართლო პროცესზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ გამაფრთხილებელი სიგნალის შემდეგ, ადამიანები უნდა წასულიყვნენ სახლში და რადგან ისინი იმ ტერიტორიაზე კვლავ იმყოფებოდნენ (მაშინაც კი, როცა ისინი ამ გზით სწორედ სახლში წასვლას ცდილობდნენ), ეს, მათი მხრიდან, პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობას წარმოადგენდა.

არც მოსამართლეებს გაუხდიათ სადავოდ ის ფაქტი, რომ აქციის მონაწილეებისთვის არ იყო დატოვებული თავისუფალი გასასვლელი და ბევრ მათგანს შეიძლება არც კი სცოდნოდა, რომ გზა, რომელსაც, წინა დღეების პრაქტიკის მიხედვით, აქციის მშვიდობიანად დასატოვებლად იყენებდნენ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ იყო თავისუფალი.

როგორც აღინიშნა, სამართალდამცავები ვალდებული არიან, მოქალაქეებს თავისუფალი გასასვლელი დაუტოვონ და მეტიც, კონკრეტული მარშრუტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდონ. ამის ნაცვლად, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა აქციის მონაწილეებს ერთგვარი მახე დაუგეს და მომიტინგეები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დააკავეს.

<u>რას ემსახურებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს ქმედება, რომელიც არღვევს როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის ინსტრუქციას, ისე საერთაშორისო სტანდარტებს?</u>

სწორედ ეს არის კითხვა, რომელიც ლოგიკურად კრავს სტატიის დასაწყისში განვითარებულ ვარაუდს, რომ 6-7 დეკემბრის აქციის დაშლა იყო მომიტინგეთა დიდი რაოდენობის დაკავების წინასწარ დაგეგმილი სპეცოპერაცია.

ამ სპეცოპერაციის მიზანი კი იყო აქციის მონაწილეთა ნაწილის სამაგალითო დასჯა, რაც ერთგვარი გაკვეთილი უნდა იყოს დანარჩენთათვის, ვისაც ჯერ კიდევ ჰგონია, რომ მისი თავისუფლების გარანტი მისივე არაძალადობრივი ქმედებები და აქციაში მშვიდობიანი მონაწილეობაა.

რეჟიმმა, ამ სახის სადამსჯელო ღონისძიების მოწყობისა და მისი გამართლების მიზნით, განახორციელა მშვიდობიანი შეკრების ძალადობრივად წარმოჩენის ოპერაცია, რომელიც, ერთი მხრივ, მოიცავდა მისი სადამსჯელო რაზმების პროვოკაციულ ქმედებებს და მეორე მხრივ, პროპაგანდისტული მედიის სინქრონიზებულ მოქმედებას. ამ ყველაფრის სამართლებრივად გაფორმების უზრუნველყოფა კი, ტრადიციულად, მიტაცებულ სასამართლოს მიანდო. სასამართლოს, რომელიც მოვლენებს ხედავს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წინასწარ შემოსაზღვრულ ფარგლებში და მოქმედებს არა კანონის უზენაესობის, არამედ „პოლიციელი (რეჟიმი) ყოველთვის მართალია“ პრინციპით.